**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში კვების (სარესტორნე) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს ფასთა გამოკითხვას კვების (სარესტორნე) მომსახურების შესყიდვაზე. მომსახურების მიწოდების ადგილია თბილისი და საქართველოს სხვა რეგიონები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300 000,00 (სამასი ათასი) ლარს დ.ღ.გ-ის გათვალისწინებით. პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოხატონ ინტერესი 2019 წლის 16 ივლისის ჩათვლით.
- დამატებითი ინფორმაცია, ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ასევე შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში www.procurement.gov.ge.

გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ატარებს ბაზრის კვლევას საზოგადოებრივი კვების მომსახურების შესყიდვის მიზნით. გამარჯვებულად გამოვლინდება კომპანია რომელიც შემსყიდველს შესთავაზებს საზ. კვების ობიექტებთან საშუამავლო მომსახურების უმცირეს პროცენტს. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პრეტენდენტი დააფიქსირებს საშუამავლო მომსახურების ერთსა და იმავე პროცენტს და ეს ოდენობა იქნება სხვა შემოთავაზებებთან შედარებით უმცირესი, ასეთ პრეტენდენტებთან ჩატარდება ბაზრის კვლევის მეორე ეტაპი, გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით.

შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, უცხოელი და ადგილობრივი სტუმრებისათვის საზოგადოებრივი კვების მომსახურება, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით.
შესყიდვის ჯამური ღირებულება - 300 000 (სამასი ათასი) ლარი. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც კვების ობიექტის მომსახურების ღირებულებას, ასევე მიმდინარე ბაზრის კვლევაში გამარჯვებული კომპანიის მომსახურების პროცენტს;

მიწოდების ვადა - 2019 წლის აგვისტოდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში.

პრეტენდენტის მინიმალური გამოცდილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნა: გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარუდგინოს:
ა) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ;
ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან რომ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი;
გ) კვებითი მოსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი ღირებულებით არანაკლებ 200 000 ლარი.

გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა ბაზრის კვლევაში და მოგვაწოდოთ ინფორმაცია საზ. კვების ობიექტებთან საშუამავლო მომსახურების თქვენს მიერ მოთხოვნილი პროცენტული ოდენობის შესახებ. გთხოვთ თქვენი შემოთავაზება მოგაწოდოთ არაუგვიანეს 2019 წლის 16 ივლისის ჩათვლით;
შენიშვნა: იმ შემთხვევებში, როდესაც დადასტურდება, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტი, რომლითაც ისარგებლა შემსყიდველმა არ არის დღგ-ს გადამხდელი მიმწოდებელს მის საშუამავლო პროცენტთან ერთად, დამატებით აუნაზღაურდება ასეთი საზ. კვების ობიექტიდან მიღებული მომსახურების ღირებულების 18 %. ხელშეკრულების გაფორმებისას განხილულ იქნება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 31 პუნტი (ხელშეკრულების შესრულების გარანტია).

გთხოვთ, წინადადებე წარმოადგინოთ ელექტრონული ფოსტით: ksiradze@mod.gov.ge ან akervalishvili@mod.gov.ge

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: გენერალ კვინიტაძის 20;
ელექტრონული ფოსტა: ksiradze@mod.gov.ge ; gkhizanishvili@mod.gov.ge ; akervalishvili@mod.gov.ge
ტელ: +032 294 35 35 (შიდა 2461) +032 272 35 35 (შიდა 2461)